



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-1005/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ.
„ახალი ხედვა საქართველო“ დამკვირვებლების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 25 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „ახალი ხედვა საქართველო“ ხელმძღვანელის გიგა ნასარიძის მიერ 2018 წლის 25 ნოემბერს წარმოდგენილი განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №6575) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის ა.(ა).ი.პ. „ახალი ხედვა საქართველო“ დამკვირვებლებს, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი